## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი;

7.1.2. შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ქონებრივად უნაკლო ნივთი.

7.1.3. შეასრულოს მიწოდებული საქონლის საგარანტიო მომსახურეობა, საგარანტიო ტალონში ჩაწერილი საგარანტიო ვადის განმავლობაში, საგარანტიო ტალონში განსაზღვრული პირობების შესაბამისად. "მიმწოდებლი"-ს მხრიდან საგარანტიო მომსახურეობის შესასრულებლად აუცილებელია შემსყიდველმა წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ჩეკი) ან გადარიცხვის შემთხვევაში გადარიცხვის დამადასტურებელი საგადახდო დავალება, წინააღმდეგ შემთხვევაში საგარანტიო მომსახურეობა არ შესრულდება.

7.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

7.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის საფასური.

7.2.2. საგარანტიო მომსახურეობის საჭიროების შემთხვევაში, წარუდგინოს "მიმწოდებელს" საქონლის საგარანტიო ტალონი, გადახდის დამადასტურებელ ჩეკთან ან საგადახდო დავალებასთან ერთად.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,01% ოდენობით.

8.3. თავის მხრივ, ანგარიშსწორების ვადების დარღვევისას, შემსყიდველი ყოველ გადაცილებულ დღეზე უხდის მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხის 0,1%.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

9.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მასთან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

9.3. მხარეთა მიერ განსაზღვრული მოვალეობების შესრულება განახლდება ფორს-მაჟორული სიტუაციის დამთავრებისთანავე.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობით.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

_____ _____

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადები